



ნ.ბ. მ. პაპაშვილი

— საბჭოთა კავშირში მოგზაურობის უთაბუ-  
დილეგანტო უკვე დაწერილი მუხვს, გადა-  
ვითეთრებ დვ...  
— დატოვებ, გეთაყვა, ჩვენ სწორედ უკვე გვა-  
ინტერესებს!

1968

მ ა ი ს ი

№ 10 (1284)



**საქსუ**

გაგორების 45-ე წელი ფასი 20 კპ.





— რა გაუწუხებებს, კაცო? სხელი და კარი იმხელა გაქვს  
ცხენი გაქვინდებო შიშ!  
— რაღ ბინდა მერე? სდაა ცხენი?!

შესანიშნავი ამინდი იყო. მართალია, პატარა ღრუბე-

ლი გამოჩნდა და იმედი მომეცა, მაგრამ ქარმა დაუბერა და გაფანტა. გომურთან მეზობლის უზარმაზარი ძაღლი თვლემდა. თოკი შეუმჩნევლად გადავჭერი და მძინარე ძაღლს მეორე სართულიდან მდღღარე გადავასხი. გაავებულმა ნაგაზმა ორი ბავშვი დაკბინა. ბავშვები საავადმყოფოში გააქანეს და უზარმაზარი ნემსები ატაკეს, დათუთქულ ნაგაზს მალამო წაუსვეს. რას უშველის!

წყალი დილიდან არ მოდიოდა. როცა ყველამ დაიძინა, ონკანი დიაღვტოვე.

25. III. 68 წ. აღრე ავდექი და ონკანს მივაშურე. გამომშრალია. დავიტანჯეთ უწყლობით. რას მიკეთებენ წყალმომარაგების მუშაკები? რომ შემქდლოს, ყველას ციხეში ამოვაცოფინებდი თავს.

დღესაც კარგი ამინდია. მეზობლის ნაგაზი ეზოში ნებეგრობს, მალამოწამულ ზურგს მზეს აფიცებებს: ეტყობა, აღარ სტყივა. მთელი დამეწყმუტუნებდა, არ დამაძინა. დარწხანს ვიშოვი და მოვწამლავ.

27. III. 68 წ. დილით მოდებამეს დავურეკე, რა სახსრებით ააშენეთ-მეთქი აგარაკი. გაგივდა კაცი. დამიკიდა ყურმილი. მეორედ დავურეკე. ლატარიაში მოგებული „ვოლგა“ როგორაა-მეთქი. ვადაირია. მესამედ დავურეკე. შემაგინა და დამიკიდა. მეოთხედ დავურეკე. შევაგინე და დავუკიდე. კვინიხამეს დავურეკე, შენს ცოლს მიხედე-მეთქი. ვადაირია კაცი.

სალამოს მეზობელთან (დამსახურებული პედაგოგია) სასწრაფო გამოვიძახე. უკვე მესამედ კინალამ ინფარქტი დამართა. გამოსარკვევია, რა ხრიკებით მიიღო დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მთელი სიცოცხლე თავაუღლებლე ვმუშაობდი, მაგრამ დამსახურებული არ გავმხდარავარ. განათლების სამინისტროში მივწერ ყველაფერს. იქ გამოარკვევინ.

28. III 68 წ. მეზობელმა სარეცხი გაფინა. წვიმა არ ჩანს. რას მიკეთებს ამინდის ბიურო? მაგათი უფროსი რომ ვიყო, ყველას დაეხსნიდი. რადიო ჩავრთე. მეზობელმა გაიღვიძა. მეორე ცვლაში მუშაობს და დღისით ძინავს.

სალამოს მეზობელმა, პერსონალურმა პენსიონერმა (მეც პერსონალური პენსიონერი უნდა ვიყო და ეგეც? სადაა სამართალი?) დღეობა გადაიხიდა. რალა დროს მაგის დღეობა, ცალი ფენი სამარეში უდგას! სულ ბებრუტუნები შეგროვდნენ. მე არ დამაბატიეა. რადიოა ჩავრთე და მთელი საღამო შობენის (ცნობილი კომპოზიტორია) სამგლოვიარო მარშს ვუკრავდი. ვადაირიენ სტუმრები. ჩაუშხამდათ პურ-მარილი. მაგას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია, შემდეგ დღეობამდეც ვერ გაატანს. მაგის ოთახი თუ ჩავიგდე, ვაქცაობა აქნება.

ხვალ ფეხბურთია. ნეტავ, გაწვიმდეს და ჩაუშხამდეთ!

29. III. 68 წ. მეზობლის მდგმურთან საეჭვო პირები შეიკრიბნენ. საში საათი ოთახიდან არ გამოსულან. ალბათ, ბანქოს თამაშობდნენ. რას ჰგავს თანამედროვე ახალგაზრდობა? წიგნს ვერ ააღებინებ ხელში. გამიგონია, ფული რომ არა აქვთ, მეზობლებს წააგებნო. რა შეშველება?!

მეზობელი ისევ გაღვიწილი მთვრალი დაბრუნდა. რამდენჯერ გააფრთხილეს მილიციაში, მაინც არ მოიშალა სმა. კუხიანს სამარე გაასწორებს.

შესანიშნავი ანდახები გვაქვს ქართველებს.

30. III. 68 წ. დილიდან მზე არ გამოჩენილა. შუადღეზე საშინლად იქუხა, გაწვიმდა. როგორც იქნა, მოვესწარი. ნამდვილი წარღვნა იყო. ნიაღვარმა წაიღო მეზობლის „ზაპორეცეი“. რადიოა ჩავრთე და „დაე, მუდამ იყოს მზე“-ს ვუკრავდი. ჰერში წყალმა გამოიონა. ხელი არ შევეშე-შალე და წყალმა თვითონ მოახა თავისი გზა. ქვედა მეზობელი ამომივარდა, შეიდისმანეთიანი რემონტი წყალში ჩამიყარეო. სხუთრავი მარტო ჩემი არ არის-მეთქი, ვუთხარი. მაგას ვაჩვენებ სეირს. ხომ გავიგებ, რამდენი დაუჯდა რემონტი!

I. IV. 68 წ. დღეს I აპრილია, მითხრა ერთმა და რალაც მომატყუა. მე არც ერთ აპრილს არ ვწუნობ. კარგი ტყუილი ყველაფერს მირჩენია.

3. IV. 68 წ. გუშინ რუსთაველზე გავისეირნე. „ივერია“ რომ წამოუქიმიათ, რას ჰგავს? ძლიერი ქარი თუ ამოვარდა, მაშინ ვნახოთ. ვინ აშენებდა წინათ ასეთ შენობებს?

მეტროში ჩავიდი. კინალამ სული შემეხუთა. ხალხი სარდაფებიდან ამოგეყავს და ცათამბეჭენებში ვასახლებთ, აქ კი მიწის ქვეშ ძვრებიან.

5. IV. 68 წ. ავტობუსში ერთი კაცი არ მომეწონა. კონდუქტორმა უთხრა, წინ გაიარეთო. ყურიც არ ათხოვა. ბებერაზე ქუსლი დავადგი და მთელი ტანით დავაწეკი. კინალამ გული წაუვიდა. გაფითრდა.

ჯორდანო ბრუნო თქვა, დედამიწა მზის გარშემო ბრუნავსო და კოცონზე დაწვეს. არასოდეს არ უნდა ჩაერიო სხვის საქმეში.

15. IV. 68 წ. მეორე ცვლაში რომ მუშაობდა, იმან ბინა გადაცვალა. ახალი მობინადრე შემოსახლდა, მელოტე.

მაშინვე რადიო ჩავრთე. იმანაც ჩართო. გამოვრთე. არ გამოერთო. ოთახიდან გასვლისას კარს ვიჯახუნებ, ისიც იჯახუნებს. რამე ახალი უნდა მოვიფიქრო, ანდა ვუჩივლებ.

დამის პირველ საათზე დამიკაყუნა და სიგარეტი მთხოვა. მივეცი. მერე სამ საათზე გამაღვიძა. ასანთი მთხოვა. დამის ოთხ საათზე ტელეფონით დამირეკა. დილადაც ვეღარ დავიძინე. რამდენი ბოროტი ადამიანია ამ ქვეყანაზე!

ისედაც ცოტანი ვართ ქართველები და რატომ არ ვუფრთხილდებით ერთმანეთს?

ამოიწერა და შთამომავლობას სათუთად შეუნახა სიმონ ჯაფარიძემ

მივიწი „საქართველო“

მწერალი კაცია ეს ჩვენი ვარდენი,  
მას ბევრჯერ უფინეს ია და ვარდები,  
მაგრამ ამ ბოლოს არ გამოუვიდა  
და შეხვდა კრიტიკა „ვაით“ და „უითა...“  
  
მე მარცხი ამგვარი არასდროს მომეღიძინა,  
რადგანაც არა ვარ მწერლობის მდომელი.  
  
ნოვატორ მუშაკად იცნობენ გრამიტონს,  
მრავალი პრემიაც მიიღო ამიტომ;  
მაგრამ არ ნერვავენ მის გამოგონებას,  
აწყდება ნერვები, ეღლება გონება...  
  
მე ამგვარ საქმეში არასდროს ვერევი,  
მიტომაც ყოველთვის წყნარად მაქვს ნერვები.  
  
მთამსვლელთა ჯგუფებს რომ მიუძღვის ნუგზარი,  
ბევრი მას ქებას და მადლობას უგზავნის;  
მაგრამ თუ მთამსვლელებს შეემთხვავათ რაიმე,  
მოხსნიან, და მერე იძახოს „ვაიმე!“  
  
ასეთი საქმისგან არც მცხელა, არც მცივა,  
მე მისგან შორსა ვარ, მე სუფთა კაცი ვარ!  
  
და ზემოხსენებულ პირების სახელებს  
პრესა და რადიო ყოველდღე ახსენებს...  
მე კი, უშეცდომოს, კაცს — ფხიზელთვალთან  
არაფრად მაგდებენ, ეს სამართალია?!

ავთანდილ ციხაძე

# ქართული

## ასეთია ჩვენი ზიკა!

ბრაზილიადა 2 სურათად  
სურათი I. მილიციის სამორივეო

**მორიგა:** რა ვამღერებდა, ბიჭო შენ?!  
**ტიტა** (თავჩაქინდრულია): არ მახსოვს, უფროსო, რა მემღერებოდა...  
**სეპასტი:** ჰმ!.. არ ახსოვს კი არა, ნამდვილად შეგნებულად და წინასწარგანზრახვით მღეროდა. ა, ბატონო, ჩაწერილი მაქვს: დონ ხონეს არია, მრავალკამერი, მეფისტოფელის პარტია... ქურდი რომ ვიყო, მოვიპარავდი... რა უფლებით მღეროდა 12 საათის მერე?!  
**ლაშოლაქა** (თავისთვის): ემღერებოდა კაცს და მღეროდა... ახალგაზრდობაში ხეზე გასულს მიმღერია, გაიგონ მეზობლებმა, ნასვამი რომ ვარ-მეთქი... (ხმამალღა): სრული ქეშმარიტებაა, რასაც არდალოონიზი ბრძანებს, ხალხი ეგო ნაჯაზტ, კაკ სლეღუეტ!

### სურათი II

მეზობლებით გარშემორტყმული სევასტი ეზოში ჭადრაკს თამაშობს. შემოდის კორესპონდენტი.

— ბოლოში, მეგობარო, ტიტე ცხვარიაშვილი აქ ცხოვრობს?..

**სეპასტი** (გახარებულა): თქვენ, ალბათ, გამომძიებელი ბრძანდებით, არა? ვიცოდით, ერთხელაც თავს მოგვეჭრდა ეგ აბეზარი!.. ე, ბატონო, ეგერ ცხოვრობს, მაგრამ, ალბათ, გაიქცა უკვე...  
**კორესპონდენტი:** მე ვაზეთის კორესპონდენტი ვარ და მინდოდა ნარკვევი დამეწერა ამ შესანიშნავ ახალგაზრდაზე. ნუთუ არ გაგიგიათ: 2 დღის წინ, საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩადგებოდა, 3 კაცი გამოსტაცა აღიდებულ მტკვარს... ასეთი შესანიშნავი ადამიანის ჩამოყალიბებაში, ვფიქრობ, თქვენი წვლილიცაა; იგი ხომ თქვენს შორის აღიზარდა?!

**სეპასტი** (როგორც იტყვიან, 180°-ით შემობრუნდა): ოოო... ვიცოდი, ადრე თუ გვიან გეასახლებდა! ყველაფერში მოწინავე ყმაწვილია... აი, თუნდაც, ეგ რომ ხალხისან სიმღერას შემოსძახებს, მთელი მეზობლობა სმენად ვართ ქეცული. დროა, ხელოვნების მუშაკებმაც მიხედონ მას!

**ლაშოლაქა:** მთელი კორპუსის საყვარელი ახალგაზრდაა. ამიტომ ყველა „ჩვენს ტიტეს“ ვეძებო!..  
**ლაშოლაქა:** დიხ, ასეთია ჩვენი ტიტე! ნალო ეგო ნაგრაღიტ, კაკ სლეღუეტ!..  
**კორესპონდენტი:** (აცრემლებულია): გმადლობთ, მეგობრებო!.. ნარკვევს სწორედ ასეთ სათაურს დავარქმევ: „მეზობლები: დიხ, ასეთია ჩვენი ტიტე!“  
არავინ არ წითლდება.  
ფარდა

### კახი პატიყვილი

## ზიხი და არ გეუბნები?

არ დავიჯერებდი, ჩემი ყურით რომ ვამგონა. თრი კაცი საუბრობდა: — აფსუს, რა დრო იყო? უწინ ურთობაში რომ ვცხოვრობდი, ყველაფერი საერთო გვექონდა: სამზარეულო, აივანი, მეზობლური ალიაქოთი... ცალ-ცალკე ბინები დაგვირიგეს და მეზობლებს რაღა დავგონა გასაყოფი? ან რაღა გვაქვს საერთო? წყნეთში ნაკვეთის მიღებას ის არ მერჩია, უმაღლესში ნახევარი განაკვეთი მოეცათ? აბა, მუშუფატი ტყუილად დავამთავრე?

— რაღა დროს შენი სამსახურია, — უთხრა მეორემ, — კაცი შენს ასაკში კაცი ცხოვრებაზე და საჭმელ-სასმელზე უნდა ფიქრობდეს... მახსოვს, ქაშაყს რომ ვიყიდდი, მოხარშულ წალკის კარტოფილთან ერთად, ჭამად ვიყავით გადაქცეული. ახლა ხუთნაირი თევზი მოაქვთ და ვერ ამოვიჩვენებ...

— ეჰ, ჩემი ძმოს! რაც ხუთთაბიანი ბინა მივიღე, გოგონოს აბანოს გზა დამავიწყდა. მაინც რა იყო, დალოცვილი! ერთ კილომეტრიან რიგში რომ ვდგებოდი... მიუჭარავს ბიბისის, იქ ჭორებსა და ცხელ-ცხელ ამბებს გაიგებდი! აბაზანიდან გამოსულს მე-თულუხზე ფინთისა კოკიდან ჩამოსხმულ ცივ წყალს ჯამით მომაწვდიდა, თან გაამოსო, მეტყუოდა. მერე ორცხენიანი ფაიჭონით შაყლოვებდი სახლისკენ. ახლა 78 ცხენის ძალიანი საკუთარი მანქანა მაქვს, მარა რად გინდა? უწინ ცხენის ჭიხვინზე ვინ გახდევინებდა ჯარბისა? აბა, ახლა, თუ ბიჭი ხარ, სიგნალი მიეცი!

— კარგი რა, გული ნუ ამიჩუყი!  
— ჩუღურეთში, ნიაღვარი რომ მოვარდებოდა ხოლმე, ზედ ფიცრის ხიდს გასდებდნენ, რა შნო და ლაზათი ჰქონდა!

— ეჰ! — ამითხრა პირველმა, — კვამლი რაა, კვამლის სუნი მოგენატრება კაცს, უწინ ნავთქურა რომ აბოლდებოდა, მთელი ოჯახი გაიმურებოდა, სიცილით ვგვდებოდი. მაშ... ჭუარტლსაც თავისი პეჭი ჰქონდა.

— არა, მაინც რა იყო, კაცო! გახსოვს, იმოდენა ჯიბის საათი მქონდა, ათი „ვიმპელი“ ფაქონიჭრებოდა.

— ჩემმა შვილებმა მუსიკალური განათლება მუსტრესტის პიანინოზე მიიღეს. ახლა ჩემს შვილიშვილს პერსონალური სტენვის როიალი უდგას და ახლოს არ ეკარება. შარშან, მოდი, ჭიას გაგასარებ-მეთქი, საზღვარგარეთ ვიმოგზაურე. აწი იქით მანამ არ წავალ, სანამ ცსოვრების ოთხე ისე არ აიწვევს, აქედან ხიზილადა, კონიაკები, ჩაი და სასმელ-საჭმელი არ ვათრიო. ჯერ 55 წლისაა არა ვარ და უკვე თიაქარი გამიჩნდა. იმათ კისერზე იყოს ჩემი ცოდვა!


— მაშ, მაშ... რა მაგის პასუხია და ეს ტიულპანის საწოლებიც არ მომწონს. აფსუს, რკინის კრაოტები!

ველარ მოვითმინე და ლაპარაკში ჩავერიე: — მაინც რა გაწუწუნებთ, ვერ გამოვია! თითქოს ახლა შემამჩნიეს, ჯერ დამაკვირდნენ, მერე ვრთმანეთს გადახედეს და შითხრეს: — ვიცით და არ გეუბნებით?!

### თენგიზ I

## საოჯახო ლექსიკონი

სიღვდრი ყველაფერში რომ ერევა და ვერავინ რომ ვერ ერევა  
სიმამრი ორგვარია: ყოვლისშემძლე და ჩვეულებრივი  
მეზობელი შენი ოჯახის ამბავი შენზე უკეთესად რომ იცის  
სიხვარული საყვარელთან ნახე  
შინაბებრა შინ რომ უბერავს, ისაა  
სასიძო ძალიან რომ იფასებს თავს, მაგრამ „ვოლგაზე“ მეტი რომ არ ღირს  
გიგლა ბახტაძე.



მთელი დღე ენა ხელში უკავიათ: „ესენი რა ერთურთის სადარია? რას ამბობთ! ერთი უფრო მსუქანია, მეორე უფრო გამხდარია“.

და ირგვლივ ისეთი ხარხარია: „მათი შეერთება? ზღაპარია! ვერ ხედავთ? ერთი უფრო მაღალია, მეორე უფრო დაბალია...“

ბიჭისთვის ცოლის შერთვა გვიანია, არც გოგოა მთლად ნორჩი ფერია, მე მათ კარგად ვიცნობ: ერთი ჭკვიანია, მეორე — შტერია...“


„ახლა თვალთა ფერი?.. ბიჭი შავთვალაა, გოგო ცისფერთვალა (თუ არ შეიცვლება), ჰოდა, ამიტომაც მათ შორის რაიმე საერთო შეიძლება?“

### გიორგი უთეაპური



— ჩამოვრჩით, ბატონო! ახლობან, ზოგან მიიშუნები ხატავენო; ეს მიიშუნები კი ისევ მიიშუნებდ ღარჩენ...  
ნ.ბ. აბაშიძისა





# საქართველოს საბჭოთა საპარტიო-კულტურული საბჭო

იმ დღეებში, როდესაც რაიკოპატივის მთავრობის გერაშვილი საანგარიშო მოხსენებას წერს, არც ცოცხლებში მისათვალა და არც მკვდრებში, იგი უფრო ცოცხალ-მკვდარია.

გუშინ ანტონ ნიკოლაევიჩი ტელეფონით ელაპარაკებოდა ერთ-ერთი სოფლის სამომხმარებლო კოლხეპრატის თავმჯდომარეს.

— ამხანაგო სოხადე! წლიურ საანგარიშო მოხსენებაში მე შენ ცოტას ვაგაყრიტყებ!

— რა მოხდა?! — იღრიალა სოხადემ, — რაშია საქმე? ხომ გამაყრიტყე მარშან! წელს რამე გაწყენინე? ახლაც ისევე ჩემი ჭერი დადგა?

გერაშვილი გაწითლდა. მას მართლაც აღარ ახსოვდა რომ საანგარიშო მოხსენებაში სოხადე უკვე ჰყავდა ბული.

— მაბატიე, ძვირფასო! გამახსენდა... იმდენია საჭირო გზა აგებნევა.

გერაშვილმა ყურმილი დადო და ჩაფიქრდა... ვინ არ გეკვია მარშან? დასახმარებლად იხმო მოადგილე და კადრები ყოფილების გამგე.

— ქვაბულოძე, სხირტლაძე, — წამოაყენეს ახალი კანდიდატები კონსულტანტებმა.

არჩევანი სხირტლაძეზე შეჩერდა. მისი გაკრიტიკება თავისუფლად შეიძლება, თუნდაც იმისთვის, რომ მან საქონელობის გეგმა არ შეასრულა და, რაც მთავარია, საჯარო ქსელში სარეკორდო გაფლანგვები აქვს.

— ცოტა შესახურებელია ხუნდაძე და ლაბაძე, — ისინიც დიდი ხანია არ გაგვიკრიტიკებია, — ისევე წამოგვეყენენ გერაშვილს.

ანტონ ნიკოლაევიჩი გასაკრიტიკებელ კანდიდატებს ტელეფონით მოელაპარაკა და იმათაც სხვა რაღა დარჩენოდათ, დათანხმდნენ: ჩვენი ჭერი დადგა, რა გვეთქმისო.

მაგრამ რაღაც ეშმაკად, როცა ანტონ ნიკოლაევიჩი საანგარიშო მოხსენებას, წესისამებრ, გადათეთრებულს კითხულობდა; სხირტლაძის გვარის მაგივრად სოხადე წამოცდა.

სოხადემ თავისი გვარი რომ გაიგონა, წამოხტა, ხელები აასავსავა, მერე აქეთ-იქით შემოილი ადამიანის თვალებით გაიხედ-გამოიხედა და შეჰძახა:

— ამხანაგო გერაშვილო! ვანა თქვენს მოხსენებაში მოხსენებულა ჩემი გვარი? აბა, კარგად ნახეთ!

გერაშვილი თავისმა საქციელმა შეაშფოთა და ინსტიქტურად უპასუხა:

— მოხსენებაში სოხადის გვარი არ არის, ამხანაგებო! მე ეს გვარი უნებლიედ წამოვცა.

დარბაზში სიცილი გაისმა, აქა-იქ — ოხუნჯობაც. ამ აურზაურით ისარგებლეს ლაბაძე-სხირტლაძე-ქვაბულოძე- ხუნდაძემ და აყვირდნენ:

— ანტონ ნიკოლაევიჩი! იქნებ არც ჩვენი გვარებია მოხსენებაში? აბა, კარგად ნახეთ!

— არა, არა, ამხანაგებო, თქვენი გვარები არის მოხსენებაში, მე ხომ ამის შესახებ წინასწარ გადაფრთხილეთ?

ამ სიტყვებზე დარბაზში ისევე ჩოჩოლი შეიქნა.

შესვენების დროს სოხადე მოხსენებელთან მიიჭრა და უთხრა:

— ასეა თუ ისე, მაინც ქე მომჭერი თავი, ანტონ ნიკოლაევიჩი, იცოდე, სამი წლის განმავლობაში აღარ მეკუთვნის შენგან კრიტიკა!

იასონ გერსამია

სურაბ რაბინი

მს ბრძოლა ათი წლის წინათ დაიწყო და, ჭერჭერობით, არ დამთავრებულა. განდგურდა უამრავი ქალაქი, მეღანი, ენერგია, მიმედ დაშაუნდენ ადამიანები. რამდენი სასარგებლო საქმის გაკეთება შეიძლებოდა ფუქად დახარჯული ამ ენერგიით? მისი გამოთვლა მხოლოდ გამომთვლელ მანქანას ძალუძს.

1958 წელს ნათესავებმა: **ლევია ანდრიას ასულმა თოდუამ და რადიონ ვლადიმერის ძე შეროზიამ** მოილაპარაკეს: რადიონს უნდა დაეშენებინა ლეილა თოდუას ორსართულიან სახლზე მესამე სართული, საზღაურად შეროზიას უნდა მოეხდინა პირველი და მეორე სართულების საფუძვლიანი რეკონსტრუქცია და ამავე დროს გადაეხადა ფულს სოლოდური რაოდენობა. ხელი ხელს დაკრეს და ეს იყო მათი ბეჭედიცა და თოდუასათვის — ხელწერილიც.

მაშ ასე: ქ. თბილისში, **ჯავახიშვილის შესახვევ № 7ა-ში**, 1958 წლის 25 ივნისს გაჩაღდა მშენებლობა.

გავიდა ერთი წელი. რადიონს, ცოტა არ იყოს, ეჭვი შეეპარა ლევია თოდუას სიტყვიერ დაპირებაში: ვაითუ აძლენმა ხარჯმა და ჯაფამ ტყუილად ჩამიაროსო და 1959 წლის 10 ივლისს კიდევ ერთხელ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს, ყოველი შემთხვევისათვის ხელშეკრულებაც გააფორმეს. ამ ცერემონიალს ესწრებოდნენ თოდუებისა და შეროზიების საერთო ნათესავეები.

დადგა თითქოსდა მშვიდობიანობის წლები, მაგრამ 1961 წელს ისევ იქუხა მოწმენდილ ცაზე და თოდუას ინიციატივით პირველი ხელშეკრულების მუხლები გადაისინჯა. ლ. თოდუამ ახალი მოთხოვნები წამოაყენა.

1961 წლის 13 მარტს შეროზიებმა თოდუების ულტიმატუმი მიიღეს. გავიდა კიდევ სამი წელი, აშკარა ბრძოლის ქარ-ცეცხლი თითქოს მიწელდა, მაგრამ ფარული ბრძოლა მაინც მიმდინარეობდა და, აი, 1964 წელს, შეროზიების ოჯახი კინადამ ცაას და დედამიწას შორის დარჩა გამოყიდებულად. მოხდა ის, რასაც სიყალბე ჰქვია: შეიცვალა **ორჯონიძის სახ. რაისაბჟოს აღმასკომის** მიერ გაცემული განკარგულების შინაარსი, რომლის ძალითაც

შეროზიები კანონიერად ხდებოდნენ მესამე სართულის მესაკონიერი. სხვა მხრივ ასლას და დედანს შორის არავითარი განსხვავება არ იყო: ასლას თარიღი და ნომერი ზუსტად ემთხვევა დედანის თარიღსა და ნომერს. დღემდე დაუდგენელია, რაისაბჟოს რომელმა მუშაქმამ ჩაიღინა სიყალბე, მაგრამ რისთვის და რატომ, ამის დადგენას დიდი ჯაფა არა სჭირდება.

ბრძოლის ველად ახლა სახალხო სასამართლო იქცა. აქ კი სამართალმა პური ჰამა და რ. შეროზიამ თავისი კანონიერი უფლებები მოიპოვა მესამე სართულზე.

თოდუები მაინც არ ტოვებდნენ საბრძოლო ტრანშეებს და კვლავ იერაშები მოქონდათ, კიდევ სამ წელს გასტანა ამ შეტაკებებმა და ბოლოს მშვიდობისმოყვარე ნათესავეები ერთხელ კიდევ ჩამოვიდნენ მათ მოსაროგებლად.

ამაოდ დამკრინენ ნათესავეები, თოდუებმა ისეთი მოთხოვნები წამოაყენეს, რომ შეროზიებმა მისი შესრულება აღარ შეეძლოთ. ნათესავთა ყრილობამ უსაყვედურა თოდუებს, პროტესტი განაცხადა მათ მოთხოვნებზე და ყოველივე ეს წერილობით დადასტურა.

სანთელ-საკვეციელი კი თავის გზას არ კარგავდა, შეროზიებმა ორჯონიძის სახ. რაისაბჟოში ნახეს სამართალი და ამ ხნის ნაშრომი ბინა, როგორც იქნა, დაიმტკიცეს.

ბრძოლამ ახლა სხვა ხასიათი მიიღო: თოდუებმა 1967 წლის 9 დეკემბერს გადაატრიალეს მეორე სართულზე წყლის ჩამკეტი ონკანი მარცხნიდან მარჯვნივ და დატოვეს შეროზიები ხანამშრალი...

ეს პირველი „ომი“ ათი წლის წინათ დაიწყო. მის შესახებ ჭერ არც ერთი ბეჭედი არ არსებობს. ეს პირველი კორუპციონდენციაა. თუ მშვიდობისმოყვარე ძალები — მეზობლები, ნათესავეები, ახლობლები და, ბოლოს, ოფიციალური ორგანოები ვერ შეძლებენ მშვიდობის აღდგენას, მოგაწვდით ახალ საინფორმაციო ცნობას. ამჯერად კი ისლა დაგვრჩენია, მეომარ მხარეებს მივმართოთ მოწოდებით: „**იარაღს ნუ აუღარუნებთ!**“

გარი მატრეველი

# ომი — ომს!



**ქაჩაგბული ნაკვესები**

**მწვანელიმა თქვა:** ბოსტანში წყალს მასხამენ და ბაზარში ცეცხლს მიკიდებენო.

**ერთმა წიგნმა თქვა:** ავტორი სამი მუყავს, მკითხველი — არც ერთიო.

**სამშობიაროში მიმავალ ვაჟს დედამ ჰპითხა:** მარტო ხელგებს რომ უვლი, პირმა რა დაგიშვაო... და საავადმყოფოში ყველა ხელგებში მიყურებსო.

**კომპინატორმა თქვა:** სუფთა ყველაფერი კარგია, ხელფასის გარდაო.

ბაიოჯ შავერჯაშვილი



მთავარი რედაქტორი ნოდარ ღუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:  
 ზ. ბოლქვაძე (პ/მბ. მდივანი),  
 ს. კლდიაშვილი,  
 ნ. მალაზონია,  
 ბ. ნიშნინიძე,  
 (მთავ. რედ. მოადგილე),  
 ნ. შველიძე,  
 ო. ზელიძე.




სატირისა და იუმორის შურონალი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.

**ნიანგი**


ტელ. რედაქციის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78.

ყ უ რ ი ლ ყ მ რ ა



**КОНТРОЛЬНЫЕ  
ЭКЗЕМПЛЯРЫ**

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». С.м. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 13/IV. 1968 წ. ჰალ. ზომა 70x108<sup>1</sup>/<sub>8</sub> 1 ნახ. ფურც. 1,4. ფიციურ ფორმათა რაოდენობა 1. პირობით ფორმათა რაოდ. 2. ს.მ. კვ ც.ს.ს. გამომცემლობის პ/კომპინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შიკვ. № 1770. უი 02163. ტირაჟი 90.300.



ნახ. ვ. გუმბურაძისა



უსიტყვოდ



— ოცი წელი ვივრუპე ოფიციალად, ა, ბატონო, დახსნიეთეპას!

ნახ. ჯ. ლოლუასი

ნახ. გ. ფირცხანაშვილი



— ახლავე მიტხარი, სად ივრუნა შენა მღივანა იისფერი კოვდა?

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



— როდის ამთავრებ რემონტს?  
— ცოტა მაკალია...  
— ცოტა მაშინ გაკალა, რემონტი რომ დაიწყე!



— კინოში მივიწვივებ გადაღებაზე?  
— არა, წიგნი გამოიბეჭდ და ახლა ჰონორარის ასაღებად მივლივარ!